



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 41

2013 წლის 28 თებერვალი

ქალაქი ხაშური



## არასამეწარმეო იურიდიული პირის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა“-სათვის თანხის გამოყოფის შესახებ

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 9 ივლისის #438 ბრძანების შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოაზისი 2008“-ს სარგებლობის უფლებით თხოვნების ფორმით უვადოდ გადაეცა გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი სამგზავრო ავტობუსი (მარკა DAF-SB 220, სარეგისტრაციო N OOC 328). შპს „ოაზისი 2008“ განხორციელა 4 726 (ოთხიათასშვიდასოცდაექვსი) ლარის სარემონტო სამუშაოები და ვინაიდან დაგეგმილია აღნიშნული სამგზავრო ავტობუსი გადაეცეს არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა“-ს მიზანშეწონილად მიგვაჩნია 4 726 (ოთხიათასშვიდასოცდაექვსი) ლარი ჩაერიცხოს არასამეწარმეო იურიდიული პირი „ხაშურის მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა“-ს და მან აუნაზღაუროს შპს „ოაზისი 2008“ გაწეული დანახარჯები.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის 3-ე პუნქტის, 43-ე მუხლის 3-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტის და შპს „ოაზისი 2008“-ის დირექტორის 2013 წლის 20 თებერვლის N560 მომართვის საფუძველზე:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოაზისი 2008“-ზე სარგებლობის უფლებით თხოვნების ფორმით უვადოდ გადაცემული გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი სამგზავრო ავტობუსის (მარკა DAF-SB 220, სარეგისტრაციო N OOC 328) სარემონტო სამუშაოებისათვის დახარჯული თანხის ანაზღაურების მიზნით განხორციელდეს არასამეწარმეო იურიდიული პირის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურა“-სათვის 4 726 (ოთხიათასშვიდასოცდაექვსი) ლარის ჩარიცხვა და მან უზრუნველყოს შესრულებული სარემონტო სამუშაოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის ანაზღაურება;
2. განკარგულება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე

